

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის  
N21 ბინაზე, მოქალაქე ვაგნერი ნემსიწვერიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვაგნერი ნემსიწვერიძის წარმომადგენლის მზია ფარულავას განცხადებები /2014 წლის 06.03 Nგ-1467, 12.03 Nგ-1627/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N21 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ვაგნერი ნემსიწვერიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 652 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვაგნერი ნემსიწვერიძეს /პირადი N60003005577/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე, საერთო ფართობი 60,42 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 34,28 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,14 კვ.მ./ მოქალაქე ვაგნერი ნემსიწვერიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურდულია